

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №70
2019 წლის 11 მარტი

ქ. თბილისი

„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით (სსმ III, 31.12.2010, №172, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016105) დამტკიცებული წესის:

1. მე-18 მუხლის მე-13 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„13. რეესტრში ცვლილება შესაძლებელია განხორციელდეს შემოსავლების სამსახურის ინიციატივით, აგრეთვე, იმ პირის ან მისი უფლებამონაცვლის განცხადების საფუძველზე, რომელმაც ამავე მუხლით დადგენილი წესით მიმართა შემოსავლების სამსახურს და კონკრეტული სსა-ის მოდელი შეტანილ იქნა რეესტრში. ამ პუნქტით გათვალისწინებული განცხადება შემოსავლების სამსახურს წარედგინება რეესტრში სსა-ის მოდელის ყოფნის ვადის გასვლამდე არაუგვიანეს ორი თვით ადრე. განცხადებას უნდა დაერთოს დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს სსა-ის მოცემული მოდელის წარმოების ან მიწოდების და მისი მაკომპლექტებელი ნაწილების შეუფერხებელი განხორციელების შესაძლებლობას (ხელშეკრულება ან/და წარმოების ტექნიკური მონაცემები).“.

2. 23³ მუხლის მე-13 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„13. რეესტრში ცვლილება შესაძლებელია განხორციელდეს შემოსავლების სამსახურის ინიციატივით, აგრეთვე, იმ პირის ან მისი უფლებამონაცვლის განცხადების საფუძველზე, რომელმაც ამავე მუხლით დადგენილი წესით მიმართა შემოსავლების სამსახურს და კონკრეტული სსა-ის მოდელი შეტანილ იქნა რეესტრში. ამ პუნქტით გათვალისწინებული განცხადება შემოსავლების სამსახურს წარედგინება რეესტრში სსა-ის მოდელის ყოფნის ვადის გასვლამდე არაუგვიანეს ორი თვით ადრე. განცხადებას უნდა დაერთოს დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს სსა-ის მოცემული მოდელის წარმოების ან მიწოდების და მისი მაკომპლექტებელი ნაწილების შეუფერხებელი განხორციელების შესაძლებლობას (ხელშეკრულება ან/და წარმოების ტექნიკური მონაცემები).“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

